



KA07016245945221

N03/640

13 / ივლისი / 2021 წ.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს, ბ-ნ სოსო გიორგაძეს

ბ-ნო სოსო,

რამდენადაც თქვენთვის ცნობილია ა.წ. 9-14 მაისს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურში (ოქროს ფონდში) დაცული ექსპონატების მდგომარეობის შესასწავლად ჩამოსული იყო იუნესკოს ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს და დასკვნის სახით წარმოადგინეს ოქროს ფონდის 10 ექსპონატის მდგომარეობა. აღნიშნული დასკვნა უაღრესად მნიშვნელოვანია შესწავლილი ექსპონატების სათანადო დაცულობის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, მოგახსენებთ, რომ ოქროს ფონდსა და მთლიანად შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ათეულ ათასობით ექსპონატი, რომელთა მდგომარეობის საექსპერტო მომსახურებით შესწავლა, ისევე როგორც ეს მოხდა ზემოთ აღნიშნულ 10 ექსპონატზე, დაკავშირებულია დიდ ფინანსურ დანახარჯებთან და დროით რესურსთან. ამასთან, ვინაიდან შენობის ტექნოლოგიურ/გეოლოგიურ/ჰიდროლოგიური დასკვნის საფუძველზე, შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შენობა არის სავალალო მდგომარეობაში და მიღებულია გადაწყვეტილება როგორც თანამშრომლების, ასევე ექსპონატების სასწრაფო ევაკუაციის თაობაზე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია იქამდე ვიდრე ევაკუაცია დაიწყება და მოხდება ექსპონატების გადაადგილება, წინასწარ დადგინდეს ხომ არ ესაჭიროება რომელიმე მათგანს გადაუდებელი საკონსერვაციო - სარესტავრაციო სამუშაოები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, რათა ქვეყანაში შეიქმნას სათანადო პირობებითა და საშუალებებით აღჭურვილი ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოების ქიმიური (ტექნოლოგიური) კვლევითი ლაბორატორია. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია თავდაპირველად გაიწეროს ლაბორატორიის მონაცემის კონცეფცია, ხოლოდ მეორე ეტაპად განხორციელდეს შესაბამისი ტექნიკური დანადგარების შესყიდვა, შენობის აღჭურვა და თანამშრომლების გადამზადება.

ვინაიდან შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შენობის ავარიული მდგომარეობის შესახებ მხოლოდ ივნისის თვეში გახდა ცნობილი, საბიუჯეტო წლის დაგეგმვის დროს, შეუძლებელი იყო გვევარაუდა ამგვარი საჭიროების არსებობა. შესაბამისად შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, შესაძლებლობის ფარგლებში, რაც შეიძლება დროის მცირე მონაკვეთში მოხდეს ამგვარი ლაბორატორიის შექმნა რათა მუზეუმის შენობაში დაცულ ექსპონატებს არ მიაღვეთ ზიანი.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შენობაში დაცული ექსპონატები ქართველი ხალხისა და ქვეყნის უნიკალური ისტორიისა და კულტურის ამსახველია, ჩემი როგორც მუზეუმის დირექტორის ასევე მუზეუმის თანამშრომლების პირდაპირი ვალდებულებაა ვიზრუნოთ თითოეულ ექსპონატზე, შევუნარჩუნოთ დღევანდელი სახე და დავიცვათ ისინი. შენობის ტექნიკური დასკვნის მიხედვით, იმდენად დაზიანებულია მზიდი კონსტრუქციები და სახეზე გვაქვს ისეთი საგანგაშო მდგომარეობა, რომ თითოეულ დღეს აქვს მნიშვნელობა. ამიტომ გთხოვთ, შესაძლებლობის ფარგლებში, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს აღნიშნული თხოვნის დაკმაყოფილება, ისე და ისევე მუზეუმისა და მასში დაცული ექსპონატების ინტერესების გამო.

პატივისცემით,

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის  
შალვა ამირანაშვილის სახელობის  
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო  
მუზეუმის, საქართველოს ეროვნული გალერეის  
და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული  
მუზეუმის დირექტორი

საქართველოს  
ელემენტარულად 

ნიკა ახალბედაშვილი